გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 109

2024 წლის 12 ივლისი
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ საგზაო ნიშნების და „ხელოვნური უსწორმასწორობების“ განთავსების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შესულია გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ასმათ ტალახაძის განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ 4 (ოთხი) ლოკაციაზე სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობების განთავსება. აღნიშნული საკითხი შეისწავლა გორის მუნიციპალიტეტის მერიამ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის გორის რაიონულ სამმართველოსთან ერთად და მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოაღნიშნულ ლოკაციაზე განთავსდეს ხელოვნური უსწორმასწორობები გოსტ Р 52 605-2006-ის შესაბამისად, შემდეგი საგზაო ნიშნებთან ერთად: 1.18-„ხელოვნური უსწორმასწორობა“; 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა 30კმ/ სთ“; 5,20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“. ასევე, საჭიროა საგზაო ნიშნის - 1.24 ,,ბავშვები" დამონტაჟება საჯარო სკოლიდან და საბავშვო ბაღიდან 50 მეტრამდე და 100 მეტრამდე მოძრაობის ორივე მიმართულებით.

მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხო, შეუფერხებელი მოძრაობის უზრუნველყოფის მიზნით გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ 4 (ოთხი) ლოკაციაზე ზემოაღნიშნული სიჩქარის შემზღუდველი ხელოვნური უსწორმასწორობების განთავსება და საგზაო ნიშნის - 1.24 ,,ბავშვები" დამონტაჟება საჯარო სკოლიდან და საბავშვო ბაღიდან 50 მეტრამდე და 100 მეტრამდე მოძრაობის ორივე მიმართულებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს :

1. გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლის და საბავშვო ბაღის მიმდებარედ 4 (ოთხი) ლოკაციაზე, შესაბამისი საგზაო ნიშნებით, განთავსდეს „ხელოვნური უსწორმასწორობები“.

2. განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნული „ხელოვნური უსწორმასწორობები“ დამონტაჟდეს ГОСТ Р 52 605-2006-ის განსაზღვრული ნორმების შესაბამისად და დაიდგას შემდეგი საგზაო ნიშნები:

ა) 1.18 „ხელოვნური უსწორმასწორობა“;

ბ) 3.24 „მაქსიმალური სიჩქარის შეზღუდვა“ (30 კმ/სთ);

გ) 5.20 „ხელოვნური უსწორმასწორობა“.

3. საგზაო ნიშანი - 1.24 ,,ბავშვები" დამონტაჟდეს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ახრისში საჯარო სკოლიდან და საბავშვო ბაღიდან 50 მეტრამდე და 100 მეტრამდე მოძრაობის ორივე მიმართულებით.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე